

აცეტილირებული ალილგლუკოპირანოზის ჰიდროსილილირების რეაქცია
ტრიეთოქსისილანთან


ბარბარე ლატარია

ელ-ფოსტა: barbare.lataria903@ens.tsu.edu.ge


ქიმის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი.
ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ცოცხალი ორგანიზმის განვითარებისთვის სილიციუმის ნაერთები მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ. ამასთან, სილიციუმის ატომის შეყვანამ ცნობილ სამკურნალო პრეპარატებში შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვალოს პრეპარატის მოქმედების ხასიათი, რიგ შემთხვევებში კი შესძინოს მათ ახალი თვისებები.

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა 1,2,3,4,6-პენტა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზის ალილირების რეაქცია ალილის სპირტით პირიდინის გამოყენებით, კატალიზატორის $ZnCl_2$ -ის თანაობისას. რეაქციის შემდეგ მიღებული იქნა 1-O-ალილ-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზიდი (3).



1-O-ალილ-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზის (3) სინთეზი ტრიეთოქსი სილანთან (4), კატალიზატორის $Co_2(CO)_8$ თანაობისას, პირველად იქნა სინთეზირებული 1-O-(3-ტრიეთოქსისილილ)-პროპილ-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზიდი (5).
რეაქცია მიმდინარეობს ანტი-მარკოვნიკოვის წესით.



სინთეზირებულ ნაერთთა აღნაგობა დადგენილ იქნა კვლევის ფიზიკო-ქიმიური მეთოდებით.